№ 35

ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 8 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 9 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 35

ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

თ. გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე შვილებითურთ და მელანია ივანეს ასული კნეინა ჩოლოყაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა სოფ. ყვარელში პირველი—მეუღლისას, მეორე—დისას

**კნეინა თამარ ივანეს ასულის ჭავჭავაძისას.**

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება, ოთხშაბათს, 18 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში. (2—33—2)

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული

ახალი წიგნი

**სასამღვრო გამოცანები**

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)

თ. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220—5)

დოქტორი მედიცინისა

**ზ. ი. ქალანთაროვი**

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

ილებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა**, დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1. (10—23—7)

## მევენახეთა საყურადღებოდ

მივიღეთ საზღვარ-გარეთიდგან გაზის სამყნობი „Kunde"-ს ქარხნის ახალი დანები. ეს დანები მოიწონა საქარის ამერიკულის ვაზის სანერგეს გამგეობამ. მსურველ უნდა მიჰმართონ სტეფანე პავლეს ძის ფეიქრიშვილის მაღაზიას ქუთაისში.

თითო დანა ღირს ერთი მანეთი და ცხრა შაური.

ვინც ათს ცალზედ მეტს დაიბარებს ნაკლებ ფასად დაეთმობა. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ ფოსტით ფას-დადებით. (5—6.—2)

## ახალი ამბავი

*** მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ მისწერა საერო განათლების სამინისტროს, რომ მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე მიღებულ იქმნას შესაფერი ღონისძიებანი კავკასიის სიძველეთა და მეცნიერებისათვის გამოსადეგ სიმდიდრეთა დასაცველად იმ უცხო-ქვეყნელ მეცნიერთაგან, რომელნიც ვითომ იკვლევენ აქ ყველა ამას და აქედგან გააქვთ ძვირფასი ნაშთები. ამ ბოლოს დროს, მაგალითად, კავკასიაში საარქეოლოგიო გამოკვლევის ნება-რთვა ითხოვეს გერმანელმა მეცნიერებმა რუდოლფ ვირხოვმა, ლემანმა და ბელკმა. ზემოხსენებულ საზოგადოების აზრით ამ მეცნიერთ საგნადა ჰქონდათ გაეტანათ კავკასიიდგან აქაური სიძველენი. ეს ამბავი მოახსენა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ და მისმა უდიდებულესობამაც კეთილ ინება და მიანდო დიდს მთავარს შეატყობინოს შინაგან საქმეთა და საერო განათლების სამინისტროებს, რომ სასურველია ბოლო მოეღოს ამ ამბავს და უცხო-ქვეყნების მუზეუმები აღარ გაამდიდრონ კავკასიიდგან გატანილ ძველის ნაშთებით.

ამ უმაღლესის ბრძანებისა გამო საერო განათლების სამინისტროს დროებითმა მმართველმა მიჰმართა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და შეეკითხა, რა ღონის ძიებანი უნდა იქმნას მიღებული ამ საქმის შესახებაო.

*** აგრონომებმა ტიმოფეევმა და კანდურალოვმა გამოსცადეს მერეჟკოვსკის მიერ დამზადებული წამალი მინდვრის თაგვების დასახოცად და ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ეს გარემოება აგრონომთ იმითი აჰხსნეს, რომ წამალი დიდის ხნის დამზადებული იყო და ამიტომ არ ივარგაო. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, საჭიროდ იცნო წამლის ადგილობრივი დამზადება და ამ აზრით განზრახვა აქვს შუამდგომლობა დაიწყოს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე.

*** კორშის დასი ტფილისის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენების მართვას 6 აპრილიდგან დაიწყებს.

*** კვირას, 15 თებერვალს, სახელმწიფო თეატრის მახლობლად შემდეგი ამბავი მოხდა: საღამოს 8 საათი იქმნებოდა, რომ ოპერის რეჟისორის ი. ე. ფითოევის სახლიდგან გამოვიდნენ ქ-ნი პახომოვისა, ფითოევის ახალგაზდა ქალი, ქმრიანი, გენერალის ბურაკოვსკის ქალი და პოლკოვნიკი ვირუბოვი თავისის ცოლით. მატინოვის სახლთან რომ მივიდნენ, საიდგანღაც გაჩნდა ფითოევის ქალის ქმარი, კონტროლის პალატის მოხელე პ. გ. ბადუროვი, მოჰკიდა თავისს ცოლს მარცხენა მხარში ხელი, მარჯვენა საფეთქელზედ მიადვა რევოლვერი და გაისროლა. ძლიერ აღელვებული იყო ბადუროვი, თუ ქალმა თავი დასწია, ამ ერთისა ან იქმნება ორივე მიზეზის გამო, ტყვია ასცდა ამ ქალს და მოხვდა ქ-ნ ბურაკოვსკისას. ქ-ნ ბურაკოვსკის ჰრილობა საშიში არ არის ბადუროვი დააპატიმრეს.

*** შაბათს, 14 თებერვალს, კრება ჰქონდათ „ტფილ. კრუჟოკის" წევრთ „კრუჟოკისავე" დარბაზში და მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ სააქციონერო საზოგადოება დავაარსოთ „კრუჟოკის" მოსათავსებელ შენობის ასაგებადაო. 85 წევრმა განაცხადა სურვილი და 26 ათას მან. აქციაზედ მოაწერეს ხელი. ეს თანხა საკმაო არ იქნება, რადგან მამულის ყიდვასა და შენობის აგებას 400 ათასი მან. დასჭირდება. კრებას „კრუჟოკის" წევრთა მომეტებული ნაწილი არ დასწრებია, რომელთაც შეუძლიანთ ეს თანხა ბევრად გაადიდონ და მაინც და მაინც თუ საკმაო ფულს ვერ მოაგროვებენ, შეუძლიანთ ნაკლი იმითი შეავსონ, რომ საძირკველ ჩაყრილი შენობა დააგირაონ საკრედიტო დაწესებულებაში და ფული გამოიტანონ. („ნ. ო.").

*** ფოთი. პარასკევს, 13 თებერვალს, აქაურ დედათა სკოლის სასარგებლოდ ქ-ნ ო. ა. ნიკოლაძის მეთაურობით გამართული იყო ჯერ ბავშვებისათვის და შემდეგ დიდებისათვის საცეკვაო საღამო „კატილიონით". სასიამოვნო სანახავი იყო თავ-მოყრილ მოზარდთ თაობა, რომელიც კლუბის დარბაზში მოხდენილის თამაშობით იპყრობდა ადამიანის გონებას. ცქრიალა უმანკო არსებათა გუნდმა ექვსის საათიდგან დაიწყო კლუბში მოსვა და 10 საათზედ დაიშალნენ დასაჩუქრებულნი სათამაშოებით და ტკბილეულობით ნასიამოვნებნი. შემდეგ დიდები დატრიალდ-დაბზრიალდნენ დარბაზში ბ საათის ოთხამდის სცეკვავდნენ. „კატილიონისათვის" საღამოს დიასახლისს კარგი ნივთები დაემზადებინა, ამისათვის არც დიდები დაბრუნებულან სახლში ბავშვებზედ ნაკლებ ნასიამოვნებნი. საზოგადოება იმდენი ვერ დაესწრო, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგან დღეს ქალაქში წითელა მძვინვარებს. შესასვლელი ბილეთები ყმაწვილთათვის 52 კ. ღირდა, ქალებისათვის 1 მ. 5 კ. და კაცებისათვის—1 მ. 55 კ.

თებერვალი თბილის ტაროსით დადგა, ხოლო შუა რიცხვებში ძლიერ შეირეკა. აღმოსავლეთის ულმობელმა ზენა ქარმა სუსხი მოგვიტანა. დღის მანათობელი მზე თუმცა უხვადა ჰფენს თავისს სხივებს დედამიწას, მაგრამ ღამე ძლიერი ყინვა ქვასაც არ ასვენებს და ერთმანეთს ახუტებს.

*** სოფ. გარეჯვარი, (გორის მაზრა). სოფელში რაღაც გადამდები სენი გაჩნდა. ავადმყოფს ყელი ჩამოუსივდება, ახველებს და სიცხე აქვს. აქაურს მცხოვრებელს, ხელთუბნის სომხების დიაკვანს ორი ვაჟი მოუკვდა ამ სენით ერთს დღეს, ერთი რვა წლისა და ერთი თერთმეტისა. ამ ჭირის სახელი ვერ მითქვამს, მერე იქნება ექიმებმა სხვა სახელი დაარქვან და პირში ბურთი ჩაგვჩარონ. ეს ბალღები-კი იხოცებიან და რაც უნდათ, ის დაარქვან. ხელთუბანშიაც ქუნთრუშაა გახშირებული. ორი ზუნა ჩ—შვილს მოუკვდა, ერთი კ—შვილს, ერთი რვა წლის გოგო შ—შვილს. ზოგისა კარგად ჰხდილობს, ვინც უფრთხილდება, და ვინც არ უფრთხილდება, იხოცებიან.

*** ხელთუბანი, (გორის მაზრა). 9 თებერვალს ერთი აშკარა ქურდობა მოხდა შუადღის გულზედ. ერთს ლატაკს გლეხს, გიორგი ი—ძეს, ძროხა გამოეშვა გარეთ, რადგან კაი დღე იყო. ორის საათის შემდეგ მოიკითხა, აღარსად იყო ძროხა, ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, ვეღარა გაიგო-რა. ამ უბედურს დღეზედ დაბადებულს ამის მეტი არა გააჩნდა-რა. ისე ღრიალებდა საბრალო, იტყოდით, ცოლშვილი ამოსწყვეტიაო.

*** სოფ. სკენეთი, (გორის მაზრა). აქაურს გლეხს მიხა ზ—ძეს ცოლი ლოგინზედ დაუწვა. აქ იციან ხოლმე, მელოგინეს, სანამ არ ადგება, თავს არ დაანებებენ, ავი სული დაეცემაო. ერთს დღეს ქმარი გორში წასულიყო. მელოგინესთან თავისი და გადმოსულიყო საღამო ხანზედ და ისევ შინ წასულიყო, მელოგინესთან მარტო ათის წლის ბიჭი და დარჩენილიყო. ელოდათ მამისთვინ კარგა ხნობამდე, რაკი არ მოსულიყო, დაეძინათ. ამათ ძილში კაცი გორიდგან მოსულიყო, სანთელი გაექრო და დაწოლილიყო. ცოლს ქმრის მოსვლა ვერ გაეგო. მხოლოდ მერე გამოჰღვიძებოდა და რაკი ლამპარი გამქრალი ენახა, ძალიან შეშინებულიყო, ჩამძვრალიყო ლოგინში და საბანი დაეხურა. მერე ისევ ამოეხედნა და დაენახა, რომ იმის წინ ერთი საზარელი კაცი ატუზულა. გულ-გახეთქილს ქალს ერთი დაეკივლა და იქვე გული შესწუხებოდა. რის ვაი ვაგლახით გამოაბრუნეს ქალი, სიკვდილს გადაარჩინეს, მაგრამ ჭკუაზედ შესცდა. ეხლა მკითხავებთან მიდიან და მოდიან, მორჩენის იმედი აქვთ.

*** გაზ. „მშაკში" შემდეგი საყურადღებო ამბებია დაბეჭდილი სომხების ახალგაზდათა შესახებ. ამ ორის კვირის წინად ერთ საგუბერნიო ქალაქში ერთმა ახალგაზდამ დაჰნიშნა ერთი ობოლი ქალი. ჯვრის წერის წინა დღით ნეფემ მოითხოვა სია და დაიწყო მზითვის ჩაბარება. ჩაიბარეს ყველაფერი და დააკლდათ რამდენიმე ქათამი, რომელიც სიაში იყო აღნიშნული. ნეფემ უარი განაცხადა, რომ ჯვარს არ დავიწერ, სანამ დანაკლისს არ შემისრულებთ და ბოლოს რის ვაივაგლახით დაიყოლიეს ნეფე და ჯვარი დასწერესო. მეორე მაგალითი... ნეფემ ჯვრის წერის დღეს, რაკი დაპირებულს ფულს 200 მან. დააკლეს, უარი განაცხადა ჯვრის წერაზედ. მეორე ახალგაზდამ რომ გაიგო ეს, სთქვა, რომ მე დავიწერ ჯვარს და 30 მან. გაპატიებთო. საქმროებს შორის გაჩნდა მეტოქეობა, მაშინ პირველი საქმრო 20 მან. დაკლებას დასთანხმდა და ჯვარიც დაიწერა. მესამე მაგალითი... ჩვეულებისამებრ ნეფემ ქორწილის წინა დღით სადედოფლოს საჩუქრები გაუგზავნა. სხვა საჩუქრებთან ერთად ნეფე მოკალეს ერთი ან ორი თავი შაქარი გაუგზავნოს. ნეფეს შაქარი დავიწყებოდა და სადედოფლოს დედამაც მზითვიდგან ერთი ხალიჩა დაუჭირა და, როდესაც შაქარი მიუვიდა, მაშინ მორიგდნენ და ქორწილიც გაიჩაღესო.

*** 17 თებერვალს, დილის 9 საათზედ, ლორის მელიქოვის ქუჩაზედ, ადამეცკის საკაზმავ დუქანში უეცრად გარდაიცვალა ივანე გალკინი. მიცვალებულის გვამი მაშინვე მიხეილის საანატომიო თეატრში იქმნა გაგზავნილი შესამოწმებლად.

*** 16 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, იარმუკაში ნიკოლოოზ ალიხანოვის დუქანში ჩხუბი ასტეხა სიმთვრალისა გამო ტფილისის მცხოვრებელმა მიხეილ სარქისოვმა და კალმის დანით დასჭრა ტფილისის მაზრის სოფ. მარნეულის მცხოვრებელი ივანე ასლანოვი მარჯვენა მკლავში. დამნაშავე პოლიციამ დააპატიმრა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. წესი,** (რაჭის მაზრა). ამ სოფლის ხსენება გგონებ მალე მოისპოს. ეს სოფელი მის მეზობელ სოფლებთან შედარებით ყველაზედ წინ იდგა როგორც ქონებით, აგრეთვე ისტორიულის ნაშთებით. ამ სოფელში უცხოვრია დიდ როსტომ ერისთავს, რომელმაც მეტოქეობა გაუწია იმერეთის მეფეს სოლომონს. მეფე სოლომონი თუმცა ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა დააკლო-რა, ვიდრე მოტყუებით არ დაიჭირა და არ დასთხარა თვალები როს-

ტომს და იმისს შვილებს. რასაკვირველია, ამისთანა კაცის სამყოფელი ღირს შესამჩნევი უნდა ყოფილიყოს სიმაგრით. და მართლაც, სოფელი წესი იმნაირ ადგილას არის გაშენებული, რომ დიდს სიმაგრეს წარმოადგენს. როსტომის გაკეთებული სადარაჯო ოთახი დღესაც ამაყად გამოიცქირება ხიდისკრის კლდეში. ამ სადარაჯოსთან ჰგმია დიდი ჭიშკარი და თუ მას დაჰკეტდნენ, მთელი რაჭის კარებიც დაიკეტებოდა თურმე. როსტომის აშენებული ციხე დღესაც ამაყად გადმოიცქირება მაღალის კლდიდგან. როსტომის აშენებული ეკლესია ღვთისმშობლის სახელობაზედ ბარაკონს ერთი უმშვენიერესი ტაძარია დღესაც რაჭის მაზრაში. ერთის სიტყვით, სოფ. წესი საყურადღებო სოფელი იყო.

ეხლა? ახალისა რა მოგახსენოთ. 1896 წელს 9 აპრილს საზარლად დაანელა ამ სოფლის 60 გლეხი მეწყერმა, რომელთაც ლუკმა მჭადიც სანატრელად გაუხდათ. საშინელის სტიქიონის მალას ვინც მაშინ გადურჩა, იმათ დღეს აქცევს და სამუდამოდ ხელ-ცარიელსა სტოვებს დიდის ჭირნახულით შეძენილ სახლ-კარ-სარჩო-საბადებელისაგან. 30 კომლამდე გლეხი გვარად: მელაშვილი, გოგობერიშვილი, მაისაშვილი, გოგშელიძე და გოცირიძე ამ თებერვალში დააზარალა მეწყერმა, ვინ იცის ზოგი სად აპირებს დასახლებას და ზოგი სად? დასახლდება-კი?.- სწორედ საცოდავს სურათს წარმოადგენს გლეხი ამ საშინელს ზამთარში სიცივით მოკრუნჩხული. ტანისამოსი მთლად შემოფლეთილი აქვთ და საშუალება არ მოეპოვებათ ორ მანეთიანის ჩოხის ყიდვისა. იმედია, როგორც 1896 წლის დაზარალებულთ მიეცა შემწეობა ზოგიერთ ქართველთაგან, ისე ამ უბედურთ არ მოაკლებენ თავიანთ ყურადღებას.

რასაკვირველია, რომ ამ სოფელში მეწყერის გაჩენისათანავე ხალხის სიკვდილმაც ძალზედ იმატა, ასე რომ წელიწადში ორმოც-და-ათიდგან სამოცამდე სული იხოცება. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ხალხი დიდად ღარიბდა და არა აქვთ საშუალება რიგიანის სმა-ჭამისა, თბილად ყოფნისა, ექიმის მოყვანისა და წამლის ყიდვისა. თუ ყოველ წელს ხალხის სიკვდილმა ასე იმატა, შესაძლებელია ეს სოფელი სულ ერთიანად მოისპოს.

ვანო ჭიჭინაძე

## წერილი რაჭიდგან

მადლობა უფალს! ახალწლეულად რაჭელებმაც გაჰბედეს წერა ქართულ გაზეთებში რაჭის ავ-კარგიანობის შესახებ. პირველ იანვრიდგან ისე ქართული გაზეთი არ წამიკითხავს, რომ, რაჭის გამო რაიმე არ ყოფილიყოს დასტამბული. დიდება საწაულთ მოქმედებასა შენსა, ახალწელო, რამეთუ შენ ალხადე საცო პირთა და შემუსრე კარი ძნელი ბაგეთა კალმოსანთა რაჭისათა, შენ ამცენ მათ ძლიერება კალმისა, რომელსა იტყვის ბრძენი:

„ხმალი იმოდენს ვერა იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო".

ამას წინად დაბა ონიდგან ვიღაც ოქროპირ კრიმანჭულიძე სასიამოვნო ამბავს გვიქადდა პოლიციის ბოქაულის მეოხებით: „პოლიციის ბოქაული ბეკო საფოსტო ყუთის დაარსებას გვპირდება დაბა ონიდგან ს. ღებამდის", მოგვითხრობს კალმოსანი კრიმანჭულიძე. თქვენს პირს შაქარი, ჩემო კეთილო მეგობარო, თუ რომ ბოქაულს და ნაპირები ჩაილულის წყალს არ გაჰყვება და არ შეერთვის მრავალ აღუსრულებელ დაპირებათა ზღვაში, თუ რომ ხმა საფოსტო ყუთის დაარსებისა არ დაშთება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. „მოსაწიელს მოცდა უნდაო", ნათქვამია ანდაზად. ყოველ შემთხვევაში ჩვენც მოლოდინში ვიყოთ. ვნახოთ თქვენი მშვიდობიან კალმის წვერი როგორ იმოქმედებს ბეკო ბოქაულსა და მის ალთქმაზედ. ჩვენი პაწია დაბა ონი თანდათან ჰმატულობს, თანდათან იზრდება და იფურჩქნება. ახალ-ახალი შენობანი, ახალი დაწესებულებანი: ხაზინა, ფოსტა, ტელეგრაფი, აფთიაქი, სამკითხველო და სხვა ამ გვარი-რამე-რუმეები საუცხოოდ ამშვენებენ ჩვენს დაბასა. თუ ღმერთმა ჰქნა და მოკლე დროში რკინის გზაც გაიმართა, მაშინ ხომ პოპლოჩინაობასაც დაიწყებს. კურთხეულ ღმერთს უნაკლულო არა გაუჩენია-რა. ყველა ზემო ჩამოთვლილ სიკეთესთან დაბა ონსაც სჭირს ერთი მეტად დიდი ნაკლი, რომელიც სულ ჰფოლავს ყოველ გვარს კეთილ ღირსებას. ეს ის ნაკლულევანება გახლავთ, რომ ამ დაბას არა აქვს აბანო. ნეტა წყალი მაინც არა ჰქონდეს ისე ახლო! თვით ბაზარში ჩამოდის მშვენიერი ღარულას მდინარე და არც რიონი ჰშორავს ამ დაბასა, მაგრამ არ იქმნა, არ გამოჩნდა ისეთი კეთილი და გულშემატკივარი ადამიანი, რომ ალევსო ეს ნაკლი დაბა ონისათვის. ჩინოვანი და უჩინო, მღვდელი და ერი ყველა ამას ვტირით:

ჭუჭყი გვჭამს და ჭუჭყი გვტანჯავს,
გვაწუხებს ტანის ქავილი,
დავდნით, ჩამოვხმით, ჩამოვჭკნით,
ვით გაზაფხულის ყვავილი.
აბანო გვინდა, არა გვაქ,
ვერ გვიბანია ტანიო,
დავსცურავთ ჭუჭყის მორევში
ეს ამოდენა ხანიო...

საზოგადოდ მთელს რაჭის მაზრას ერთი თავიდგან აუცილებელი უბედურება გვჭირს; ეს ის უბედურება გახლავთ, რომ ძვირად ჰღირსებია ჩვენს რაჭას კარგი და გულ-შემატკივარი ადმინისტრატორი და თუ ოდესმე ჰღირსებია, ისიც მოკლე ხნით. წარსულს წელში ხმა დააგდეს, ვითომც აწინდელს ჩვენს მაზრის უფროს რაჭიდან გადაყვანას უპირებდნენ. ამ ხმამ ისე დაგვაღონა რაჭელები, რომ ლამის ყველამ სამგლოვიარო ძაძები ჩავიცვათ, მაგრამ, მადლობა ღმერთსა, ტყუილი გამოდგა და ბატონი ქანსოხ დადეშქელიანი დღესაც რაჭაში ჰსუფევს.

რიონის სათაველი

# რუსეთი

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან ამ დღეებში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს და ხელ-ახლად შეიმუშავოს პროექტი დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ნორმალურ დებულებისა.

— ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი მმართველობა მიმდინარე წელს 27 მილ. მან. შემოსავალს მოელის ფოსტისაგან და $16^1/_2$ მილ. მან. ტელეგრაფისა და ტელეფონებისაგან.

— განზრახვა აქვთ ყოველ-კვირეული გაზეთი გამოსცენ პეტერბურგში, რომელმაც თამბაქოს წარმოების შესახები საგნები უნდა გამოარკვიოს.

— ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული 1885 წელს გამოცემულის სასოფლო ბანკების ნორმალურ წესდების გადათვალიერებისა და შემუშავების შესახებ.

— ამ ჟამად მიწათ-მომედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წინადადება მისცა სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, რომ შესაფერი ცნობები გამოგვიგზავნეთ ბაღ-ბოსტნეულობის მდგომარეობის შესახებ და ის, თუ როგორა ჰფასობს მწვანილეულობა ზღვის პირად მდებარე ქალაქებშიო. ამ ცნობების შეკრება გამოიწვია ოდესის მეურნეთა შუამდგომლობამ, რომ ბაჟი დაადეთ საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ მწვანილეულობასაო.

— მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 1897 წელს ხსენებულ დაწესებულებას ექვემდებარებოდა 108 სასწავლებელი 5000 მოსწავლით, სახელდობრ: ერთი უმაღლესი სასწავლებელი (მოსკოვისა), 11 საშუალო და 96 დაბალი.

## წერილი პარიჟიდგან

ემილ ზოლა სასამართლოს წინაშე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

ხელ ახლა გამოიხმეს მოწმე ახალშენელი პიკარი.

ვექილი ლაბორი. რა შინაარსისაა ის გამოძიება, რომელიც სამხედრო სასამართლოს წარუდგინეს?

თავმჯდომარე. მაგ საგანზედ ლაპარაკი არ შეიძლება. ეგ საიდუმლოა.

შემდეგ დაიბარეს ლოტი და ჰანრი.

ლაბორი. (ჰკითხავს ლოტს) რად უნდოდა პიკარს ლურჯ ქაღალდზედ ფოსტის ბეჭედი დაეკრა?

ლოტ. იმის დასამტკიცებლად, რომ წერილი გაგზავნილი იყო და შესაძლებელი იყო, რომ დანიშნულებისამებრ მისულიყო.

ლაბორი. თქვენა სთქვით თუ არა, რომ ბორდეროს ნაწერი ძალიან წა-

*) იხილე „ივერია" № 34

# ფელეტონი

## სვეტი-ცხოვლის ტაძარი *)

მცხეთის ტაძრის ისტორიას საქართველოს პირველ გაქრისტიანებასთან ერთის ჟამის სათაური აქვს. უნდა წარმოვიდგინოთ საქართველოში თითქმის ამ ორის ათასის წლის წინა დრ. ო. მაშინ მცხეთა საქართველოს სატახტო ქალაქი იყო და იქ შემოხიზნულიყვნენ ებრაელები. ებრაელების სამშობლო ადგილად ითვლება პალესტინა, რომელიც მდებარეობს საქართველოდგან სამხრეთ-დასავლეთით. ებრაელებს ყოველთვის ერთნაირი დღე არ უთენდებოდათ. მოვიდოდა დრო, როდესაც თავს დაესხმოდა მტერი და დამარცხებულ ებრაელების ხალხს კისერზე დაედგმოდა მძიმე მონობის უღელი. ებრაელების ხალხი ვერ ითმენდა მძლავრის მტრისაგან დაჩაგვრას და ხშირად წინააღმდეგი უხდებოდა იმის ბრძანებას. ამიტომ მტრები საშინლად სჯიდნენ ებრაელებს და თავიანთს სამშობლო მიწა-წყლიდგან ასახლებდნენ უცხო ქვეყნებში. აი ეს შეიქმნა მიზეზად, რომ საქართველოს მხრისკენ ნამყოფმა მძლავრმა მეფეებმა გარდმოასახლეს ებრაელები საქართველოზედ ახლო მდებარე ქვეყნებში, საიდამაც ებრაელებს შეეძლოთ გადმოსვლა ქართველთა სამფლობელოში და იმის დედა-ქალაქ ცხეთაში, სადაც იმათი ხელობა ვაჭრობა იყო.

მცხეთელი ებრაელები არა სწყვეტდნენ კავშირს იერუსალიმთან და ვალდებულად სთვლიდნენ თავისს თავს დასწრობოდნენ იერუსალიმში ბედნიერს დღეებს პასექისას. აქედგან საკვირველი არ არის ცხეთელის ურიის ელიოზის ყოფნა იერუსალიმში იმ წელს, როდესაც იესო ქრისტე ჯვარცმულ იქმნა გოლგოთაზედ.

ელიოზისთვის უცნობი არ იყო იესო, რომლის ამბავი კარგად იცოდნენ ცხეთელმა ურიებმა ცხეთაში. როგორც ვსთქვი, უცხო ქვეყნებში მცხოვრებელ ურიებს ნიადაგ მიმოსვლა ჰქონდათ გამართული იერუსალიმთან, სადაც ასწავლიდა ხალხს და სასწაულთ-ჰმოქმედებდა უფალი იესო ქრისტე და ამიტომ იერუსალიმიდგან იესო ქრისტეს ამბავი მიდიოდა ყველა ქვეყნის კუთხეში, სადაც-კი სცხოვრობდნენ ებრაელები. ელიოზის გონებიდგან იესო ქრისტე განუშორებელი იყო და იმისის კვართის შოვნა, რასაკვირველია, ძალიან გაახარებდა იმისს სულს.

ელიოზმა გამოსწია მცხეთისკენ. როდესაც ელიოზი მიუახლოვდა თავისს სახლს, გზაზედ გაეგება თავისი ახალგაზდა და სიდონია, რომელსაც შეეტყო, რომ იმის ძმას მოჰქონდა უფლის კვართი. სიდონიამ გამოართვა ძმას კვართი და როდესაც იმისაგან დაწვრილებით შეიტყო იესო ქრისტეს ამბავი, დიდად გულ-ნატკენი დარჩა, რადგანაც სიდონიას სწამდა იესო ქრისტე, როგორც ჭეშმარიტი მაცხოვარი სოფლისა. სიდონიამ ორივ ხელებით დაბღუჯული კვართი მიიკრა გულზედ და ზეცისკენ თვალებ-აღპყრობილმა დაიწყო ლოცვა. ეს მოხდა იმ ადგილას, სადაც მცხეთის ტაძარში პატარა საყდრის ჩრდილო-დასავლეთის მხრივ აყვანილია ქვიტკირის ოთხ-კუთხი სვეტი. ლოცვის გათავება იყო-და მართალი სიდონია, გულზედ მიკრულის კვართით, დაეშვა უსულოდ დედამიწაზედ. კვართი ხელებიდგან ვერავინ გამოაცალა მართალს ქალს, რომლის ამბავმაც შესძრა მთელი ქალაქი მცხეთა. უცებ დედა-მიწა გაიხსნა და მართალი სიდონია კვართით გულზედ სწრაფად მიწაში ჩაექანა: უხილავმა და ყოვლის შემძლებელმა ხელმა გააპო მიწა, გაუღო პირი და უფსკრულში დამალა წმიდა ღვთის განძი და წმიდა გვამი.

უფლის კვართის საქმე, ფრიად დიდი ამბავი და სასწაული ყველასათვის, ვერ იქონიებდა ჯეროვანს გავლენას ქართველს ხალხზედ, რომ მას ერწმუნა იესო ქრისტე, რადგანაც ქართველებს განვითარებული და შეთვისებული ჰქონდათ კერპთ თაყვანის-მცემლობა.

ამგვარი ამბავი უფლის კვართისა ახსოვდათ ზეპირ-გარდმოცემით მცხეთის ზოგიერთს ოჯახს. ქალაქ მცხეთაში იესო ქრისტეს ჰყავდა აღმსარებელნი პირველ საუკუნიდგანვე. ეს მორწმუნენი მომეტებულ ნაწილად ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც ან ქალაქ იერუსალიმში ნახვით ან სხვის პირიდგან გაგონილით სწამდათ იესო ქრისტე, როგორც ღმერთი და მაცხოვარი ქვეყნისა. ამიტომ ვბედავთ ვთქვათ, რომ უფლის კვართის ადგილი და სიდონიას საფლავი თაყვანის საცემს და სალოცავს ადგილს შეადგენდა პირველ ქრისტიანეთათვის, რომელთაგანიც პირველი იყო მართალი სიდონია და რომლებიც ფარულად იცავდნენ სარწმუნოებას და სასოებას მაცხოვარისას და იმის კვართისას. ქართველებს ეშინოდა ქურუმებისა, რომლებიც მოაკვლევინებდნენ არმაზის სჯულიდგან გამდგარს ქართველს, ან მეფეს, ან კერპის თაყვანის-მცემელს ხალხს. ებრაელებს კი ეშინოდათ თავისის ურწმუნო თანამოძმეებისა, რომლებიც ქვეყნიერ მეფედ მოელოდნენ მაცხოვარს.

ღვთის განგებულებამ აღუნიშვნელად არ დასტოვა წმიდა ადგილი და სწორედ იქ, სადაც კვართი უფლისა ჩანთქმულ იქმნა, ამოვიდა კვიპაროსის ხე, რომელიც თავისის ჩრდილით ჰფარავდა არემარეს.

სამას თოთხმეტმა წელიწადმა გაიარა ქრისტეს დაბადებიდგან, როდესაც საქართველოში საქადაგებლად მოივლინა წმიდა ნინო. ებრაელის ელიოზის შთამომავალმა სახელად აბიათარმა ისტუმრა თავისს სახლში ქალწული მქადაგებელი ქალაქს მცხეთაში.

აბიათარისაგან წმიდა ნინომ გაიცნო ადგილი, საცა ღვთის განგებით ინახებოდა უფლის კვართი და რომელზედაც ამოსულიყო კვიპაროზის ხე. ღვთაებრივის ძალით აღმოსულ ხის ჩრდილოში მოდიოდა წმ. ნინო სალოცავად და აქ მას ღმერთი აცნობებდა, რომ მთელი საქართველო წმ. ნინოს ხელით გაქრისტიანდებოდა და ის ადგილი, რომელზედაც წმ. მქადაგებელი იდგა, მალე ღვთის დიდებით საუკუნოდ გაბრწყინდებოდა.

სამას მეჩვიდმეტე წელიწადი მიდიოდა ქრისტეს დაბადებიდგან, როდესაც ქართველებმა წმ. მოციქულთა სწორის ქადაგებით დაამსხვრიეს მცხეთაში საქართველოს კერპები და აიკლეს მათი ბომონები, მეფის მირიანის მაგალითით მოინათლნენ მდინარე მტკვარში. ქალაქ მცხეთიდგან ქრისტეს სარწმუნოების ნათელმა მიაყენა თავისი შუქი საქართველოს ყოველ კუთხეს.

წმინდა ნინოს რჩევით მეფე მირიანმა განიზრახა ტაძრის აღშენება იმ ადგილას, სადაც ინახებოდა უფ-

*) მკითხველთ ეხსომებათ, რომ კვირას 22 თებერვალს, მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში, სადაც დაკრძალულია გვამი ჩვენის დიდებულის მეფის ერეკლე მეორისა, მისის გვამის დაკრძალვიდგან ასის წლის შესრულებისა გამო, უნდა გარდახდილ იქმნას წირვა და პანაშვიდი, რომელზედაც დასასწრებლად საქართველოს ყოველ მხრიდგან დიდ-ძალი ქართველობა აპირებს წასვლას. რასაკვირველია, სვეტი-ცხოვლის დიადს ტაძარს ერთის თვალის გადავლებით ვერავინ გაიცნობს, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ამ ტაძრის აღწერის დაბეჭდვა ადრევე, რომ ხალხს შეეძლოს იმისი გათვალისწინება, თუ რა იმარხება ამ საქართველოს ძველის სატახტო ქალაქის ტაძარში. ეს აღწერა ეკუთვნის თვით სვეტი-ცხოვლის მღვდელს მ. პლატონ ხუროშვილს.

რედ.

აგავს იმ ხელს, რომლითაც ლურჯი ქაღალდია დაწერილი და რომ ორივე ერთის ავტორისაა.

ლოტ. მე ეგ არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა, რადგანაც ქაღალდი სხვამ მაჩვენა, სხვის ხელში ვნახე და არ გამომიკვლევია.

ვექილი კლემანსო. ძალიან იყო დახეული ლურჯი ქაღალდი?

ლოტი. 60 ნახევი იყო.

კლემანსო. რისთვის უნდოდა პიკარს ამ ნახევების შეერთება?

ლოტ ფოტოგრაფის შემწეობით პიკარს უნდოდა ნაწერის გადაღება.

კლემანსო. რომელ მხარეს აპირებდა პიკარი საფოსტო ბეჭდის დასმას?

ლოტ. პიკარმა მხოლოდ ისა მკითხა: საჭიროა თუ არა ბეჭედი დავასვაო, და ის-კი არ უთხოვნია, რომ მე დამესვა იგი.

ახალშენელი ჭანრი. მე გადავეცი გენერალ გონზს, რომ, როდესაც ლებლუა პიკართან ბიუროში იყო, პიკარის წინ იდო ის საიდუმლო ქაღალდი, რომელიც იწყება სიტყვით: „cet canaille D...“

პიკარი. (ჭანრის) რომლის კარებიდგან შემოხვედით ჩემს ბიუროში?

ჭანრი. დიდის კრებიდგან. ის-კი აღარ მახსოვს, რა მანძილზედ ვიდექი თქვენგან.

პიკარი. საბუთის ქაღალდები ძნელი გასარჩევი იყო, ამიტომ ძალიან ახლო უნდა ყოფილიყავით, რომ გეცნოთ იგი.

ჭანრი. კარგად ვიცანი საბუთის ქაღალდი.

პიკარი. როდესაც ლებლუა ჩემთან იყო, საიდუმლო ქაღალდები იქ არა მქონია. არც გახსნილი და არც შეხვეული. ლებლუასთვის მე არავითარი საიდუმლო ქაღალდი არ გადამიცია.

კლემანსოს უნდოდა ეკითხნა რამ მოწმესთვის, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მისცა, რის გამოც თავმჯდომარესა და კლემანსოს შორის ხანგრძლივი კამათი გაიმართა.

შემდეგ გამოიხმეს მოწმე დემანჟი (დრეიფუსის ვექილი)

დემანჟი. ოქტომბერში გავიგე გაზეთებიდგან, რომ შერერ-კესტნერი დარწმუნებულია დრეიფუსის სიმართლეს და ამ საქმის დაწვრილებით გამოკვლევას კიდეც შეუდგაო. წერილი მივწერე შერერ-კესტნერს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია, რადგანაც ამ დროს შერერ-კესტნერს სამხედრო მინისტრთანა ჰქონდა მოლაპარაკება. შემდეგ ჩემთან დასჯილის ძმა მატიე დრეიფუსი მოვიდა და მითხრა, რომ ბორდეროს ავტორი ესტერგაზიაო. მე ცოტა რამ დარიგება გარდავეცი და ესტერგაზის საქმის გარჩევას დავუცადე. როდესაც ეს საქმე გაირჩა ხალხის დაუსწრებლად და ესტერგაზი გაამართლეს, მე აღარაფერი შემეძლო. მინდოდა მიმემართნა სამხედრო მინისტრისათვის, მაგრამ საჭირო იურიდიული საბუთები ხელთ არ მეჭირა. აშკარად ვხედავდი, რომ მთავრობა ხელს აფარებდა დრეიფუსის საქმეს, არა სურდა სინათლე მოეფინა და ჭეშმარიტება გამოეაშკარავებინა. მთავრობა ეხლაც არ გვაძლევს ნებას დრეიფუსის საქმის შესახებ ლაპარაკისას. ზოლასა და დრეიფუსის სახლობის შორის არავითარი დამოკიდებულება და ნაცნობობა არ არსებობდა. მე ვურჩიე მადამ დრეიფუსს, რომ უფრო მშვიდობიან და დაწყნარებულ დროსთვის დაეცადნა.

ლაბორი. თქვენ როგორა ჰფიქრობთ, ბ-ნო დემანჟ, საჭირო იყო თუ არა თქვენის რწმუნებულის საქმის ხელ-ახლად გადასინჯვა!

დემანჟ. რასაკვირველია, საჭირო იყო! მაგ საქმისათვის მე მინდოდა სჯულის საქმეთა მინისტრისათვის მიმემართნა.

ლაბორი. რად იყო საჭირო?

თავმჯდომარე. მაგისთანა კითხვის ნებას არ მოგცემთ, რადგანაც ეგ დრეიფუსის საქმეს შეეხება.

თავმჯდომარემ ნება არ მისცა აგრეთვე ვექილს კლემანსოს ეკითხნა მოწმესთვის დრეიფუსის საქმის შესახებ.

ლაბორი. ბ-ნო დემანჟ, ჰნახეთ თუ არა ბორდეროს დედანი?

დემანჟ. ვნახე.

ლაბორი. ჰგავს თუ არა ხელნაწერი იმას, რომელიც გაზ. „matin“-ში იყო გამოცხადებული?

დემანჟ. ძალიანა ჰგავს.

ლაბორი. იცით თუ არა, ბ-ნო დემანჟ, რომ გენერალმა პელიემ გამოაცხადა, „matin“-ში დაბეჭდილი ბორდეროს პირი სრულიად არა ჰგავს დედანსაო? რას იტყვით ამის შესახებ?

დემანჟ. შეიძლება ორს ადამიანს სულ სხვა-და-სხვა აზრი ჰქონდეს ერთსა და იმავე საგნის შესახებ.

შემდეგ გამოიხმეს მოწმე ჟან-ჟორესი, პარლამენტის დეპუტატი, გამოჩენილი მოღვაწე და მჭერ-მეტყველი, რომელმაც ისე წარმოსთქვა სიტყვა, რომ დამსწრე საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოვიდა.

ჟან-ჟორესი. მე მოვედი აქ არა მარტო იმისთვის, რომ შევამოწმო ზოლას პატიოსნება, არამედ იმისთვისაც, რომ აღვნიშნო უმაღლესი ღირსება იმის ზნეობრივისა და საზოგადო მოქმედებისა. ის გარემოება, რომ ზოლამ ხმა აღიმაღლა ესტერგაზის საქმის გარჩევის გამო, ამტკიცებს ერთის მხრივ ზოლას საშინელ გულის ტკივილსა და მეორეს მხრივ—დიდს აღელვებას იმ კაცებისას, რომელნიც პატივსა სცემენ საერო ჯარს, მაგრამ არა ჰსურთ, რომ ეს ჯარი კანონს დაუმორჩილონ, იმის ზედამხედველობას დაუქვემდებარონ. მე ვუმატებ, რომ ცუდმა პარლამენტარიზმა, რომელიც ამ საქმეს აწარმოებდა, აიძულა ზოგიერთნი ხმა ამოეღოთ და თავი გამოედოთ კანონისა და თავისუფლების დასაცველად. ესტერგაზის საქმის სასამართლოში გარჩევის დროს სამი ღირს-შესანიშნავი გარემოება მოხდა, რომელნიც იძულებულ მყოფს საქმის გარჩევის წინაამდეგ ვილაპარაკო. პირველი ხელნაწერი ანუ ბორდერო რად იქმნა გამოკვლეული ექსპერტების მიერ ფარულად და არა საჯაროდ? დაფარულად და ხალხის დაუსწრებლად საქმის გარჩევა და გაჩხრეკა სასარგებლო იყო იმათთვის, ვინც საქმეს არჩევდა და სჯიდა და არა იმისთვის, ვინც განსაჯეს და განასამართლეს. ამბობდნენ და ამბობენ, რომ უმაღლესი საერო და სახელმწიფო ინტერესები ნებას არ გვაძლევს ამ საქმის გამოაშკარავებისასო. მე-კი ვამბობ, რომ ამ საქმეში არავითარი საერო ინტერესი არ არის გარეული, ჰსურდათ მხოლოდ, ხალხს არ გაეგო, როგორ გამოარკვევდნენ ბორდეროს ხელნაწერს როგორც პირველი, აგრეთვე მეორე ექსპერტები. როდესაც გამოაშკარავდა ბორდერო, ესტერგაზი საშინლად აღელვდა და დაიბნა. ესტერგაზი რომ ბორდეროს გამო დიდს საგონებელს ჩავარდა, ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს სიტყვები გაზ. „ლიბრ პაროლის“ რედაქტორის ბ-ნ პაპილოდისა, რომელმაც სადეპუტატო დარბაზში სხვათა თანადასწრებით მითხრა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, რადგანაც ძნელად წარმოსადგენია, რომ საფრანგეთის აფიცრებს უსაბუთოდ დაესაჯათ და დამნაშავედ ეცნოთ თავისივე ამხანაგი აფიცერი, ხოლო ბორდეროს ავტორი ესტერგაზი უნდა იყოს, რომელმაც ჩემის გაზეთის რედაქციაში მითხრა, რომ „ის ხელი, რომლითაც ბორდერო არის დაწერილი, ძალიანა ჰგავს ჩემს ხელსაო და ვიღუპებიო“.

მეორე—დევნაა პიკარისა, რომელმაც იცოდა ესტერგაზის ვინაობა და რომელიც იკვლევდა იმის საქმეს. პიკარს საჯაროდ ჰკიცხავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ; აქ, ბ-ნო მსაჯულნო, თქვენს წინაშე, გენერალმა პელიემ პიკარის ვითომდა გამამტყუნებელი საბუთები აღიარა და თვით პიკარს-კი პირში ბურთსა სჩრიან და ნებას არ აძლევენ თავი დაიცვას.

მესამე—არ გამოუძიებიათ და არ გამოუკვლევიათ ის, თუ სად, საიდგან და როგორ მიიღო ესტერგაზიმ ის საიდუმლო საბუთის ქაღალდი, რომლის ძალითაც გამართლებულ იქმნა. განა საკვირველი და ღირს-საყურადღებო არ არის, რომ ფოტოგრაფით გადაღებულ პირს იმ საიდუმლო საბუთის ქაღალდისას, რომელიც შეიცავს უმაღლეს საერო დედა-აზრთ, რომელიც საგენერალო შტაბის მიერ ცხრა კლიტულში იყო დაცული, ვხედავთ ვიღაც უჩინარ „ნიღაბჩამოფარებულ“ ქალის ხელში, რომელმაც ეს საბუთის ქაღალდი ესტერგაზის გადასცა? ან როდესაც ესტერგაზიმ ეს საბუთის ქაღალდი სამხედრო მინისტრს გადასცა, რატომ გამოძიება არ მოახდინეს, ან რატომ არ შეიპყრეს ესტერგაზი, რადგან მან ვერ ახსნა, ვინ მისცა და საიდგან ჩაუვარდა ხელში ეს

---

ლის კვართი და გვამი მართალის სიდონიასი. რასაკვირველია, კვიპაროზის ხე უნდა მოეჭრილიყო. მოჭრილის ხიდგან შვიდი სვეტი გათალეს ტაძრის მოსახმარებლად. ხალხის დასარწმუნებლად, რომ კვიპაროზის ხის ქვეშ ინახებოდა უფლის კვართი, წმ. ნინომ განაცხადა სურვილი ერთი დიდი სვეტი მოეშორებინათ მოჭრილის ხის ძირისათვის, რადგანაც ძირში ჰქონდა გამხელილი, რომ ამის შემდეგ სასწაული იჩენს თავსაო.

როდესაც შესრულდა წმ. ნინოს სიტყვა და მოჭრილის ხის ძირის თავს შეეხო სვეტი, მაშინვე დაიწყო მიწიდგან წმიდა მირონმა დენა და სვეტმა ზევ-ზევით ამაღლება; სვეტს გარეშემო უდგნენ ანგელოზები და ერთს მათგანს ხელთ ეპყრა კვართი იმის ნიშნად, რომ იმ ადგილას ინახებოდა უფლის წმიდა საცმელი. ამ დროს ბევრმა სნეულმა ღვთივ-გაბრწყინვებულის სვეტის ხილვით მიიღო განკურნება და შვება. ამიტომ ამ სვეტს ეწოდა სახელად სვეტი ცხოველი, ესე იგი ცხოვრების მომცემელი, სვეტი ღვთივ გაბრწყინვებული და ღვთივ-ამაღლებული, ესე იგი ღვთის ძალით გაბრწყინვებული და ამაღლებული.

სვეტი ცხოვლის ტაძარი ცოტა ხანს როდი შენდებოდა. მეფე მირიანის მიერ გაკეთებული ტაძარი, რომელიც აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა ესტატემ, მეფე ტირიდატის მხნეობით, რომელიც იყო შვილის შვილი მირიანისა, გარდაიქცა უფრო კარგის მოყვანილობის ტაძრად.

მაგრამ ყველაზედ მშვენიერი და დიდებული სახე დაედო მცხეთის ტაძარს მეფე ვახტანგ გორგასლანის ხელში. მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ვახტანგი დიდის მოწადინეობით და მხნეობით შეუდგა სვეტი-ცხოვლის ტაძრის აღშენებას. ამისთვის მან შესძრა საქართველოს რჩეული ოსტატები, ხელოსნები და ხუროთ-მოძღვარნი. იმისმა ძლიერმა ბუნებამ მოინდომა მიეცა თავისის საყვარელ ხალხისთვის კავკასიონის მთებსავით დიადი და ძლიერების გამომხატველი ტაძარი, რომელიც სამუდამოდ, საშვილიშვილოდ აღზრდიდა თავისს კედლებ შორის ღვთისა და მამულის სიყვარულს.

შორს, შორს ცის კამარაზედ გამოჩნდა ბურუსიანი ტყვიის ფერი ღრუბელი, მომავალი კავკასიონის წვეროებისკენ. მაგრამ თუ ჭექა-ქუხილისა და ავდრის ღრუბელი კავკასიონის მთების ხშირი სტუმარი იყო, სვეტი-ცხოვლის ტაძარს უფრო ხშირად უნახავს თავისს კედლებთან მოსულის მტრის ლაშქრის ღრუბელი, იმის გალავნისა და ტაძრის კედლები მრავალჯერ შეღებილა მტერთა და მამულის ერთგულ შვილთა სისხლით. 1318 წლამდის მცხეთის ტაძარს ბევრი ევნო მტრისაგან, მაგრამ დანაკლისს მალე უვსებდნენ ღვთის-მოყვარე კათალიკოზნი და მეფენი. 1318 წელს ყოფილმა მიწის ძვრამ ძალიან დააზარალა ტაძარი, რომლის აღდგენაც მეფე გიორგი ბრწყინვალემ დიდის თავ-გამოდებით ითავა. ამის შემდეგ ბუნებაზედ მეტი უბედურება მიაყენა წმიდა ტაძარს უსჯულო თემურ-ლენგმა, რომელმაც უბრძანა თავისს ჯარს აეოხრებინათ და დაექციათ ქართველების ღვთის სალოცავი.

მონგოლები, რომლებმაც ამ დროს მაჰმადის ანუ თათრის სჯული მიიღეს, დიდად გადაემტერნენ ქართველთა იერუსალიმს და რამდენჯერმე ააოხრეს. ძვირად უჯდებოდა კალიასავით ურიცხვს მტერს გალავნის აღება, რომელიც მშვენიერი სიმაგრე იყო ქართველებისა. დაათვალიერეთ კარგად ტაძრის გალავანი, შიგ ჩინებული კოშკ-ციხენი და ტაძრის სახურავის ქვეშ ოთახები, ნივთების სამალავი ადგილები და დარწმუნდებით, რომ მცხეთის ტაძარი დიდი სიმაგრე იყო ქართველის ერისთვის ომიანობის დროს.

მალე გამოუჩნდა საქართველოს გამარჯვებული მეფე, ალექსანდრე დიდად წოდებული, მეთხუთმეტე საუკუნეში, რომელმაც ვახტანგ გორგასლანის მსგავსი ღვაწლი დასდო სვეტი-ცხოვლის ტაძარს. ამის შემდეგ ის-ღა უნდა ვთქვათ, რომ იმისთანა მეფეები, როგორებიც იყვნენ: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ მწიგნობარი და ერეკლე მაცი, დიდს თაყვანსა სცემდნენ ქართველთა იერუსალიმს და მარადის ჰზრუნავდნენ იმისს გამშვენიერებისთვის.

ჯერ კიდევ ვერ დაისვენა თემურლენგის ბრძოლაში დაღალულს საქართველოს, რომ ომი აუტეხა მეფე შაჰ-აბასმა, რომელმაც მოინდომა ქართველთა გაურჯულოება. ამ სურვილით განმსჭვალულს შახ აბასს ეჭვლელებოდა არსებობა მცხეთის ტაძრისა, რომელიც ქართველს ხალხს სულს უდგამდა ეროვნულის თვითარსებობისას. რადგანაც ქართველებს დიდ ღვთის მადლად აქვთ აღიარებული, რომ იმათმა მიწა-წყალმა იტვირთა უფლის კვართი, რომ წილში იმათი ქვეყანა წმიდა ღვთის-მშობელს ერგო, ბრაზიანმა შაჰ-აბასმა ხმლებითა და შუბებით დაჩხვლიტა წმიდა ხატები.

ურჯულო მტრებს ჩვეულებად ჰქონდათ, ჯერ გაზიდავდნენ ტაძრის ძვირფასს ნივთებს და მერე შეუდგებოდნენ იმისს დანგრევას. ამ მეფისას ამბობენ, რომ მან წაიღო ტაძრიდგან გარდამოხსნა, რომელიც თავისს ცხენს თაქალთოდ გადაჰფინაო. მაგრამ სიწმინდის ძალამ იჩინა თავი და ცხენზედ მჯდომარე შაჰ-აბასს თვალთდაუბნელდა და მეტი ღონე აღარ ჰქონდა, რომ დიდის მოწიწებით არ მიესვენებინა მოტაცებული გარდამოხსნა თავისს ადგილასვე სვეტი-ცხოველშიო.

შაჰ-აბასის დროიდგან საქართველოს სამეფო ტახტი იმას ეძლეოდა, ვინც მაჰმადიანობას აღიარებდა. ასეთი იყო მეფე როსტომ, რომლის სახელი ქართულად სიმონი იყო. როსტომი გულით ქრისტიანი იყო, მაგრამ პირ-ფერობით მიიღო მაჰმადიანობა, რომ არ დაეკარგა მეფობის ტახტი. როსტომის მეუღლე მარიამი, სამეგრელოს მმართველის ქალიშვილი ფრიად ღვთისნიერი და გულკეთილი ადამიანი იყო. დედოფალმა მარიამმა უჩვენა ქართველს ქალებს მაგალითი, თუ ცოლისაგან რამდენად არის დამოკიდებული ქმრის ბედნიერება, იმისი სახელი და დიდება. თითონ მეფე როსტომი, ბოროტი, ცბიერი და უზნეო კაცი იყო, მაგრამ ცოლის ნაზმა ხვეწნამა და მუდარამ დაულხო და გაუჩვილა მეფეს გული და ბევრი იმისთანა საქმე ითავა და გააკეთა, რომ საქართველოს მეფე სჯულიანი ბევრი ვერ დაიკვეხებს. დედოფლის მოწადინებით მეფე როსტომმა დართო ნება სვეტი-ცხოვლის შეკეთებისა და გამშვენიერებისა და ყოვლის მხრით ხელი შეუწყო თავისს საყვარელის ცოლის ამ გულითადის სურვილის აღსრულების საქმეს. დედოფალმა გაამშვენიერა ტაძარი, სხვათა შორის, ფრესკებითა, ანუ კედელზედ გამოყვანილის ხატებითა. დედოფალი სცხოვრებდა მეთექვსმეტე საუკუნეში.

თუ მეფეები ნივთიერად ეხმარებოდნენ სვეტი-ცხოვლის ტაძარს, კათალიკოსები ამას ზედ ურთავდნენ სულიერს დახმარებას, რომელიც ნელსაცხებელივით იფინებოდა საქართველოს ყველა კუთხეში და აწვდიდა საზრდოს ქართველთა სულს. კათოლიკოსთა შორის აღნიშნულია ტაძრის კედლებზედ შემდეგი სახელები: იოანნე, ნიკოლოოზი, დომენტი, ანტონ პირველი და ვარლამ, მცხეთისა და სრულიად საქართველოს ექსარხოსი, რომელმაც განაახლა კარი-ბჭე 1813 წელსა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთის ქაღალდი. ან საიდგან იცოდა ბ-ნმა ესტერგაზიმ, რომ არსებობს ისეთი საიდუმლო ბარათი, რომელიც იწყობა სიტყვით: „Cet canaille de D...“ და რომელიც მას გაამართლებს და დაამტკიცებს, რომ იგი ბორდეროს ავტორი არ არის? მე მგონია, თვით საგენერალო შტაბს გულითა და სულითა ჰსურდა, რომ ეს საბუთის ქაღალდი ესტერგაზის ჩავარდნოდა ხელში. ჩვენ წამ და უწუმ „საერო დედააზრებს“ წამოგვძახებენ ხოლმე, ამ „დედა-აზრთა“ დაცვას, დამალვას, დაფარვას გვიქადაგებენ, იმის ძალით ყველაფერს ხელს აფარებენ. მართლაც ძნელად მოსაძებნია იმისთანა მშვენიერი, იმისთანა ძლიერი სიტყვა, როგორიც არის „სამშობლო“, „სამშობლოს დაცვა“, „სამშობლოს დიდება“, „სამშობლოს პატიოსნება“ და აი, სწორედ ამ სიტყვასა სტაცეს ხელი და იმის ძალით სცდილობენ ჭეშმარიტების დაფარვასა და სიბნელის გამეფებას. როდესაც სადეპუტატო პალატაში ვიკითხე, არის თუ არა, ბორდეროს გარდა, სხვა საბუთის ქაღალდი, რომელიც დრეიფუსის დანაშაულობას ამტკიცებს-მეთქი, მინისტრ-პრეზიდენტმა მელინმა მომიგო, რომ მაგის პასუხს მერე მიიღებთო. ეს „მერე“ ამ სასამართლოში მეგონა, იმის ახსნას აქ ველოდი, მაგრამ, როგორცა ვხედავ, ბ-ნნო მოსამართლენო, აქაც, თქვენ წინაშე, ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული და „სამშობლოს“, „ჯარის პატიოსნების“ და ამგვარის მაღალის სიტყვების წყალობით ჭეშმარიტებასა და სიმართლეს წყვდიადი და სიბნელე ეფინება. სწორედ ამისათვის სხვა სახელმწიფონი დასცინიან საფრანგეთს, იმ საფრანგეთს, რომელიც სხვათა გზის მაჩვენებელი, სიმართლის აღმადგენელი უნდა იყოს. ამიტომვე ხმა აღიმაღლეს ჩვენის ქვეყნის ზოგიერთა მამულიშვილთ, რომელნიც წინა აღუდგნენ კანონისა და ხალხის უფლებათა დარღვევასა და სწორედ ამიტომვე ჩვენის ქვეყნის ყოველი თავისუფალი მამულიშვილი ვალდებულია პატივისა და თაყვანის ცემით თავი მოიხაროს ზოლას მოქმედებისა და იმის მამაცობის წინაშე.

მეორე დღეს თავმჯდომარემ წაიკითხა „ლიბრ პაროლის“ რედაქტორის დეპეშა, რომელშიაც იგი აცხადებდა, რომ ჟორესის ნათქვამი ჩემს შესახებ მართალი არ არისო.

ჟორესი. ალბად ბ-ნ პაპილოდისთვის სწორედ არ გარდაუციათ ჩემი სიტყვები. გეფიცებით პატიოსნებას, რომ პაპილოდმა გადმომცა ყველა ის, რაც მოგახსენეთ.

გ.

(შემდეგი იქმნება)

## ნაკვესი

მეგობრების საუბარი.

— ერთს ბოთლს ღვინოს რომ მოვიდგამ, ყველაფერი მავიწყდება ხოლმე.

— მალიან ცუდად მოგსვლია. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ იმ ბოთლ ღვინოში ფული უნდა მისცე.

## უზენაესი ბედნიერება

ზღაპარი მოზრდილთათვის.

(თარგმანი)

საუკუნეთა დასაწყისს ადამის შვილთ მიჰმართეს ღმერთებს და სთხოვეს: „მოგვხედეთ, რა უბედურნი და უმღურნი ვართ ამ ქვეყნის მენი, მოიღეთ მოწყალება თქვენი, მოგვანიჭეთ ბედნიერება, გთხოვთ, გემუდარებითო“!

მაშინ მოწყალე ღმერთებმა მოუბოძეს ხალხს „ოქრო“. უჰ, როგორა ბრწყინავდა და ელვარებდა. კაცობრიობა შეუდგა ოქროს მებნას, მკრებოდა დედამიწის გულში, სჩხრეკდა მდინარის მირში ქვიშას, ჰპოულობდა ოქროს, უხაროდა და თავი ბედნიერად მიაჩნდა. მაგრამ, როდესაც ბედოვლათსა და დაუდევარს ხალხს ოქრო დაეხარჯა, ჰნახეს, რომ სხვებმა, უფრო გონიერებმა და გაფრთხილებულებმა, დაჰხოგეს და დაჰმალეს თავისი ოქრო. მეტი გზა არ იყო და ეს ბედოვლათი ხალხი უმად და მონად გაუხდა იმათ, ვისაც ოქრო ჰქონდა დახოგილი. მაშინ უმები წინააღუდგნენ ბატონებს და ქვეყნად გაჩნდა ბრძოლა, კაცის-კვლა; დაჭრილი და მომაკვდავი კაცი ჰკვნესდა, ჰკმინავდა და თვით ღმერთებს წყევა-კრულვას უთვლიდა.

უოკლად მოწყალე ღმერთებმა ჰნახეს, რა უბედურებამდე მიაღწია კაცობრიობამ, შეიბრალეს და გამოუგზავნეს „სიყვარული“.

და აი უეცრად მთელ დედამიწაზედ დადგა გაზაფხული, გაახარა ადამიანის გული და ეს ქვეყანა მშვენიერ წალკოტად გარდაჰქმნა. სიძულვილი და ბოროტება გაჰქრა ამ ქვეყნად. ბოლო მოეღო ტანჯვას, გაჭირვებას და სიხარული და ბედნიერება დამყარდა. მაგრამ ამ ნეტარებასაც მალე დაუდგა დასასრული. მამაკაცთა შორის ჩამოვარდა შური და მტრობა დედაკაცის გამო, ხოლო დედაკაცთა შორის—მამაკაცისა გამო. სიყვარულს მოჰყვა ეჭვი და სიძულვილი, ტანჯვა-ვაება, აგ-კაცობა, ავაზაკობა, ცოდვა, დანაშაული. ძმა ძმას გადაემტერა, მეგობარი მეგობარს, ერთი ერი მეორეს წინააღუდგა და ამ უბედურებას დასასრული არა ჰქონდა.

მოწყალე ღმერთებმა ხელი შეახეს ადამიანის მეთა შუბლს და „სიბრძნე“ მიანიჭეს.

ადამიანის შვილნი განშორდნენ ერთმანერთს, დასხდნენ კარ-ჩაკეტილში, დაიწყეს გამოკვლევა მთელის ქვეყნისა, შეიტყეს მრავალი საიდუმლო ბუნებისა; თანდათან გულში შეეპარათ ეჭვი, რად ან რისთვის არსებობენ ჩვენი ღმერთები, ან არსებობენ-კიო, ჰფიქრობდნენ; ან ჩვენ თითონ რადა ვართ ქვეყანაზედ, რა ვქვიან, რისთვისა ვცოცხლობთო... და ისევ დამყარდა კაცთა შორის უბედურება, მაგრამ აღარ მიჰმართეს ღმერთებს, არაფერი სთხოვეს და მხოლოდ გონიერის თვალით შესცქეროდნენ ზეცას და ფიქრში წასულნი იქნევდნენ ჭაღარა თავებს.

მოწყალე ღმერთებს შეეცოდათ ეს საბრალო გონიერი ხალხი. კვლავ ხელი შეახეს მათ შუბლს და მიანიჭეს „სისულელე“.

და რა გგონიათ? ბედნიერება სამუდამოდ დამყარდა ამ ქვეყნად და სისულელემ მას აქედ მაგრად მოიკიდა ფეხი კაცთა შორის.

ნ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს გერმანულ ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი. ერთს მემამულეს დაუჭერია კურდღლის ბაჭია და გასაზდელად მიუგდია კნუტებიან კატისათვის. კატას კურდღლის ბაჭიაც თავის კნუტებთან ერთად გაუზდია. დადგა დრო კნუტების გაწვრთნისა. თავისს კნუტებთან ერთად კატა კურდღლის ბაჭიასაც ასწავლიდა თაგვების ჭერას, მაგრამ რა თქმა უნდა, ბაჭია ამას ვერ მიეჩვია და კატა თათით თავში სცემდა ბაჭიას, როდესაც თაგვის დაჭერას ვერ ახერხებდა. ერთხელ კატამ დაინახა, რო ბაჭია ბალახსა სჭამდა, ჯერ ძლიერ გაიკვირვა ეს ამბავი, მერე ეწყინა კიდეც, გაშორდა თავისს შვილობილს და მას შემდეგ აღარ მიჰკარებია.

* * *

საფრანგეთის სამეურნეო ჟურნალებში დაბეჭდილია დარიგებანი შესახებ იმისა, როგორ უნდა შენახვა დიდის ხნით სხვა და სხვა ხილს. ძლიერ კარგია, რომ ხილი გაახვიოთ აბრეშუმის ქაღალდში, ან ნაძვის ბურბუშელაში. უფრო კარგად ინახება ხილი, თუ ჯერ აბრეშუმის ქაღალდში გაახვიეთ, მერე ყუთში ჩააწყეთ და ზევიდგან ქვიშა დააყარეთ. სხვა საშუალება ხილის შესანახად არ ვარგა. თივაში შენახული ხილი, მაგალითად, ლპება და ხილს ცუდი სუნი ეძლევა. ლპება ხილი აგრეთვე ნახერხშიაც. ბზეში ვაშლი კარგად არ ინახება. უფრო კარგად ინახება ბზეში მსხალი, გამხმარი ფოთოლი კი უფრო კარგად ვაშლს ინახავს, ვიდრე მსხალს. ვაშლის შენახვა მთელის 9—10 წლით ასე უნდა: გადაარჩიეთ საღი ვაშლი, ჩააწყეთ წვრილ და მშრალ ქვიშაში და ყუთს თავს დაჰხურეთ. თუ გინდათ ძლიერ დიდხანს შეინახოს ვაშლი, რაც შეიძლება იშვიათად აჰხადეთ ხოლმე ყუთსა.

## გამოსადეგი ცნობა

მატყლის ქსოვილი უნდა გაირეცხოს რაც შეიძლება ცხელ ნაცარწყალში. ძლიერ კარგია აგრედვე საპნიან წყალს მიემატოს ცოტა ნაშატირის სპირტი და მერე ადუღდეს. ეს სპირტი ძლიერ კარგადა სწმენდს ქსოვილს და ფერსაც უმატებს.

## ანგარიში

4 იანვარს 1898 წ. ქ. ოზურგეთში გამართულის საღამოსი საჯარო წიგნთ-საცავის ფონდის გასაძლიერებლად.

ბილეთებისა შემოვიდა 305 მან., 65 კაპ., შემოსწირეს 82 მან., 50 კაპ., გაყიდულ სანოვაგისგან 13 მან., 08 კაპ. სულ 401 მან., 23 კაპ.

დანახარჯი ბილეთებისა, წერილების ბეჭდვა და მარკები 17 მან., მუსიკა 27 მან., სცენის გამართვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 119 მან., 28 კაპ. სულ 163 მან., 28 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 237 მან., 95 კაპ., და ინახება ოზურგეთის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაში.

საღამოს გამგენი დიდს მადლობას სწირავენ ქვემორე ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიიღეს საღამოს გამართვის საქმეში: ქ-ნთ კორენევსკისასა პ. ი., კეჟერაძე ნ. გ., კნ. აბაშიძეს, კალანდაძეს ს. ს., შარაშანიძეს ს. ნ. და ბებურიშვილს ა. გ. და ბ-ნთ თ. აბაშიძეს გ. დ., ძმათა თ. დ., ტ. და კ. გურიელთ, დოუბრავას ი. ფ. და ვოლნიცკის ა. კ., რომელიც სულის ჩამდგმელია ჩვენის ამ გვარი საღამოებისა. შემოწირულება მოვიდა: ბერეჟიანნი დ. და ს.—10 მ., თ. მაჭუტაძენი ე. და ი —6 მ., ჩხატარაშვილი ე., მხეიძე ს., თ. წულუკიძე პ., ბაქრაძე დ. და თაყაიშვილი ე. ს—ხუთ-ხუთი მანათი, კნ. თავდგირიძე ნინა, გამრეკელი ნ., თ. დადიანი მ., საბაშვილი ნ., ვოლსკი გრ., თ. ლორთქიფანიძე ა., ფანცხავა ი., მიქელაშვილი ა., ქლენტი გ., ჯაყელი ნ., კოპახიძე ე.—სამ-სამი მანათი, თ. წულუკიძე პ. და ყიფშ.—ორ-ორი მანათი, შილოყაძე დ. 1 მ., 50 კ. რამიშვილი ი., გივინეიშვილი გ. და რ. ურუშაძე—თითო მანათი, სულ 82 მ. 50 კ.

საღამოს გამგენი

## შემოწირულება

ბ-ნ ივანე ზედგინიძისაგან ქ. ერევნიდგან მივიღეთ 29 მან. 50 კაპ., შეკრებილი იქ მეფის ერეკლეს სახელობაზედ არსებულის ფონდის სასარგებლოდ: ეს ფული გარდავეცით „წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას“, ხოლო აქა ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას: თ. ივანე იოსების ძე ვაჩნაძე, ივანე ყარამანის ძე აგამალოვი და ალექსანდრე ყარამანის ძე აგამალოვი,—ხუთ-ხუთი მან., თ. ისიხე ნაკაშიძე 3 მან., კნ. სოფიო იოსების ასული თუმანიშვილისა, თ. სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე, კ. ა—ნი და იოსებ ზურაბის ძე ოქროპირიძე—ორ-ორი მან. სიმეონ ნიკოლოზის ძე კასრაძე, მიხეილ მათეს ძე გვახარია და ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე თითო მან. და ნოე კანდელაკი 50 კაპ.

სულ 29 მან. 50 კაპ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 თებერვალი

**პეტერბურგი.** 16 თებერვალს გარეშე საქმეთა მინისტრი იმპერატორთან(?) იმპერატორთან წავიდა. მინისტრი ავადმყოფობიდგან სრულიად განთავისუფლდა.

**მოსკოვი.** 16 თებერვალს ტროიცა-სერგიევის ლავრაში დაასაფლავეს მიტროპოლიტის სერგის გვამი. დასაფლავებას დაესწრნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული, გუბერნატორი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი, მოსკოვის ქალაქის მოურავი და მრავალნი სხვანი. პანაშვიდი გარდაიხადა ნოვგოროდის არქიეპისკოპოსმა თეოგნისტემ, ეპისკოპოსების ნესტორის, ნათანაილის და ტიხონის თანადასწრებით.

**ათინა.** დაპატიმრეიულ იქმნა ერთი იმ ბოროტ-მოქმედთაგანი, რომელთაც მეფის მოკვლა მოინდომეს. ამ კაცს ქალაქის თვით-მმართველობაში ერთი პატარა მოხელის ადგილი ეჭირა, გვარად კირდიტცია. სხვა ბოროტ-მოქმედთ არ ასახელებს.

**ბელგრადი.** მიტროპოლიტის არჩევანების დროს, არჩეულ იქმნა მთავრობის კანდიდატი ნიშის ეპისკოპოსი ინნოკენტი 25 ხმით. სულ 35 ხმა იყო. მეფემ დაამტკიცა არჩევანები.

## განცხადებანი

წმ. ნინოს დამხმარებელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფის დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის განკარგულების თანახმად, რომელიც 1872 წელს გამოიცა, წესად იქმნა დადებული: „ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზედ, საზოგადოების ყოველს სასწავლებელში, აღსაზრდელად უნდა დასახელებულ იქმნან დამსახურებულ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ასულნი, უფრო-კი სამხედრო მოხელეთა“. ამიტომ **თელავის წმ. ნინოს დამხმარებელ საზოგადოების მმართველობა** უმორჩილესადა სთხოვს მშობლებს, ნათესავებს და მზრუნველთ ეხლავე თავდარიგი დაიჭირონ და კანდიდატებად დაასახელონ ასულნი ხელმწიფე იმპერატორის სახელობის სტიპენდიიდგან იმ ერთის ვაკანსიის დასაჭერად, რომელიც განთავისუფლდება ამ წლის 1 სექტემბერს. ხსენებულ დამხმარებელ საზოგადოების მმართველობას ამ აზრით ამა წლის 1 აპრილის არა უგვიანეს უნდა წარედგინოს პირი ბავშვის მამის ნამსახურობის ნუსხისა და აგრეთვე კანდიდატად დასახელებულის დაბადებისა, ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობანი. ყველა ეს საბუთის ქაღალდი უნდა წარმოდგენილ იქმნას თხოვნასთან ერთად და თხოვნაში ამასთანავე აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის ადრესი.

ამასთანავე მმართველობა აცნობებს ყველას, რომ კანდიდატად შეიძლება დასახელებულ იქმნას 8—$12^1/_2$ წლის ქალი.

(2—უ.—1).

## კუტივაძის

კონსერვის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზედ, კადეტის კორპუსის პირდაპირ, მიღებულია გასასყიდად ერევნისა და ორდუბათის ატამი, ქერამი, თეთრი ბალი, მსხალი და ატმის სათესური ბურკა.

(1—34—1)

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1898 წლის 16 მარტს გამგეობის თანადასწრებით და გამგეობისვე სადგომში, ნაშუადღევის პირველ საათზედ, მოხდება საბოლოო სიტყვიერი საჯარო გაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, რათა **გასყიდულ იქმნას ხედ ქალაქის გაუჩეხელი ტყე,** რომელიც მდებარეობს ქალაქ ფოთის აღმოსავლეთით, მდინარე რიონსა, ნადარტის არხსა, მდ. ფიჩორსა, პალეოსტომის ტბასა და შავს წყალს შუა, მანძილით დაახლოვებით 500 დესეტინა, ანუ რამდენიც ნამდვილად აღმოჩნდება ამ საზღვრებს შუა, იმ პირობით, რომ ნასყიდი ხე გასჩეხოს მყიდველმა. მყიდველის მიერ ვალდებულების უზრუნველ-საყოფლად საჭიროა წარდგენილ იქმნას ნასყიდის ფასის ოცი პროცენტი ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ აქციით და ობლიგაციით და აგრეთვე სხვით, რაც-კი ნება-დართულია მთავრობისაგან საიჯარო საქმეში წინდად მისაღებად ამისათვის დადებულის ფასით. საჯარო ვაჭრობის დამტკიცება დამოკიდებულია ფოთის ქალაქის საბჭოსაგან. მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები, ტყის გეგმა და აღწერილობა ფოთის ქალაქის გამგეობაში უქმე დღეებს გარდა ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Февраля 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.